

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2012 წლის 24 დეკემბრის სხდომის

ოქმი =19

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 27 წევრიდან, ესწრებოდა 16. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ფარმაციის დეპარტამენტთან „წამლის ხარისხის კონტროლის ცენტრის“ შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 18 დეკემბრის დადგენილება №838 – მომხსენებელი პროფ. ნუგზარ წერეთელი.

პროფ. ნუგზარ წერეთელი: წარმოგიდგინებ საკითხს – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ფარმაციის დეპარტამენტთან „წამლის ხარისხის კონტროლის ცენტრის“ შექმნის შესახებ.

პროფ. ნაზი კუციავა: მინდა აღვნიშნო, რომ ეს ცენტრი ხელს შეუწყობს ჩვენი სტუდენტების პროფესიული დონის ამაღლებას და უფრო მეტ სტუდენტს ექნება საშუალება გაიღრმავოს ცოდნა, რათა შემდგომში უკეთ მოხდეს მათი დასაქმება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 24 დეკემბრის =19 სხდომაზე პროფ. ნუგზარ წერეთელმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ფარმაციის დეპარტამენტთან

„წამლის ხარისხის კონტროლის ცენტრის“ შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 18 დეკემბრის დადგენილება №838.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ფარმაციის დეპარტამენტთან „წამლის ხარისხის კონტროლის ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ს სარგებლობაში გადმოცემული ფართობების იჯარით გაცემის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგინოთ საკითხს სტუ-ს სარგებლობაში გადმოცემული ფართობების იჯარით გაცემის შესახებ, კერძოდ: იჯარით გაიცეს სტუ-ს სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება კვების ობიექტის მოწყობის მიზნით, კოსტავას ქ. =68-ში მდებარე I სასწავლო კორპუსის ეზოს მიმდებარედ არსებული 30 კვ.მ და მის თავზე განლაგებული 50 კვ.მ ფართობი.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 24 დეკემბრის =19 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სარგებლობაში გადმოცემული ფართობების იჯარით გაცემის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: მიეცეს თანხმობა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს იჯარით გასცეს სტუ-ს სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება კვების ობიექტის მოწყობის მიზნით, კერძოდ: კოსტავას ქ. =68-ში მდებარე I სასწავლო კორპუსის ეზოს მიმდებარედ არსებული 30 კვ.მ და მის თავზე განლაგებული 50 კვ.მ ფართობი.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგინოთ საკითხს 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ, კერძოდ:

1. კალათბურთის ხელშეწყობის პროგრამით დამტკიცებული ბიუჯეტის დაფინანსების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 20 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული სხვა დანარჩენი ხარჯების პუნქტში;
2. გაიზარდოს ნაერთი ბიუჯეტის საპრეზიდენტო სტიპენდიის გრაფა, როგორც საშემოსავლო, ასევე ხარჯვით ნაწილში 132 750 ლარით;
3. უნივერსიტეტის ფაკულტეტების თანამშრომელთა საახალწლო პრემირების მიზნით, სტუ-ს ეკონომიკური შემოსავლების იჯარის გრაფის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 130 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების მუხლის პრემირების პუნქტში.

პროფ. დავით ჯაფარიძე: მინდა აღვნიშნო, რომ ეს საკითხი ეხება თანხის მუხლიდან მუხლში გადატანას.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 24 დეკემბრის -19 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: სტუ-ს 2012 წლის ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. კალათბურთის ხელშეწყობის პროგრამით დამტკიცებული ბიუჯეტის დაფინანსების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 20 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული სხვა დანარჩენი ხარჯების პუნქტში;
2. გაიზარდოს ნაერთი ბიუჯეტის საპრეზიდენტო სტიპენდიის გრაფა, როგორც საშემოსავლო, ასევე ხარჯვით ნაწილში 132 750 ლარით;
3. უნივერსიტეტის ფაკულტეტების თანამშრომელთა საახალწლო პრემირების მიზნით, სტუ-ს ეკონომიკური შემოსავლების იჯარის გრაფის შტატგარეშე მომუშავეთა

ანაზღაურების მუხლიდან 130 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების მუხლის პრემირების პუნქტში.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – სტუ-ს 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 10 დეკემბერს =24 წერილით სენატს დასამტკიცებლად წარმოვუდგინე სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტის პროექტი, შედგენილი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის გ) პუნქტის და სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დაცვით. ნაერთი და საფაკულტეტო ბიუჯეტების შემოსავლები და ხარჯები გაწერილია ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.

ამის შემდგომ ჩატარდა ორი საფინანსო კომისიის სხდომა, რომლებზედაც მჯელობის საგანი იყო აღნიშნული პროექტი, და ფაქტობრივად, კომისიებზე მოხდა ბიუჯეტის განხილვა.

სპიკერი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეს ბატონ დავით ჯაფარიძეს მინდა ვკითხო აზრი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

პროფ. დავით ჯაფარიძე: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედმა კომისიამ, როგორც აღნიშნა ქალბატონმა ქეთევანმა, იმსჯელა ამ საკითხზე. მოგახსენებთ, რომ ჩვენი მიდგომა საკმაოდ კონსტრუქციულია. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ამჟამინდელი ბიუჯეტი უფრო მეტად შეესაბამება არსებულ რეალობას, ვიდრე წინა წლებისა. მინდა აღვნიშნო, რომ საბიუჯეტო პროცესი უკეთესად მიმდინარეობს, ახლა მთავარია ვიზრუნოთ თანხის ამოღებაზე. ჩვენი უმთავრესი თხოვნა შესრულდა, რომელიც შეეხებოდა სრულყოფილი დოკუმენტაციის მოწოდებას.

სპიკერი: წინა წლებისგან განსხვავებით ბიუჯეტის განხილვას რამდენიმე შეხვედრა დაეთმო და, ვფიქრობ, მეტი მსჯელობა წარიმართა მოცემულ საკითხზე. სენატის სახელით მინდა ვთხოვო ყველა მენეჯერს წელიწადში სამჯერ წარგვიდგინოს მოხსენება ფაკულტეტზე არსებული მდგომარეობის შესახებ, რასაც ეთანხმება საფინანსო კომისია და მთლიანი სენატის შემადგენლობაც.

სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ

მიმდინარე წლის 10 დეკემბერს =24 წერილით სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სენატს დასამტკიცებლად წარმოუდგინა სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტის პროექტი, შედგენილი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის გ) პუნქტის და სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დაცვით. ნაერთი და საფაკულტეტო ბიუჯეტების შემოსავლები და ხარჯები გაწერილია ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.

სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 2012 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის იმავე მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 3 468 510 ლარით.

სხდომაზე აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი ხასიათდება ნაკლოვანებებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იგი ძირითადად ორიენტირებულია უნივერსიტეტის აკადემიური და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შრომის ანაზღაურების წილი 52%-ს შეადგენს. ამასთან ადმინისტრირების ხარჯების წილი 28%-ს შეადგენს, ხოლო ადმინისტრაციაში დასაქმებულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება საერთო შრომის ანაზღაურების 12%-ს.

საგულისხმოა, რომ უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის შრომის ანაზღაურებაზე იხარჯება 688 770 ლარი, საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების თანამშრომლების ხელფასზე – 142 320 ლარი, სამეურნეო და საექსპლუატაციო-სარემონტო დეპარტამენტის მართვაში დასაქმებულ თანამშრომლებზე – 218 520 ლარი, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის თანამშრომლებზე – 154 644 ლარი. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სამსახურებში.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტის დაცვისათვის გაწეული დიდი დანახარჯების მიუხედავად, კვლავ ადგილი აქვს ქურდობის ფაქტებს, დაცვის სამსახური კი არ ატარებს ქმედით ღონისძიებებს, რასაც სათანადო შეფასება უნდა მიეცეს.

სენატი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ სტუ-ს ადმინისტრაციამ დღემდე ვერ გადაწყვიტა საფაკულტეტო ბიუჯეტების ნორმატიულ ბაზაზე დაგეგმვის საკითხი. ანალიზი აჩვენებს, რომ სამშენებლო ფაკულტეტზე ხარჯები დაგეგმილია საერთო შემოსავლების 77%, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე – 72%, სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე – 88%, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე – 85%, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე – 85%, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე – 69%, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე – 100%, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე – 52%.

აღნიშნულს ემატება ისიც, რომ სტუ-ში უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა პროფესორ-მასწავლებლებისა და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მატება. უფრო მეტიც უნივერსიტეტში დღემდე არ არის დანერგილი პროფესორ-მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეების წახალისების სისტემა. ეს მაშინ, როდესაც პროფესორ-მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგის ოპტიმიზაციის შედეგად გამონთავისუფლებული ფულადი სახსრების ხარჯზე შესაძლებელია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების და დამხმარე პერსონალის ხელფასების გაზრდა.

სენატი წარმოდგენილი ბიუჯეტის ძირითად ნაკლად თვლის იმ ფაქტს, რომ ბიუჯეტში ხელფასის და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებისათვის ხარჯები არ არის გამაგრებული სათანადო საშტატო განრიგითა და მიზნობრივი პროგრამებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

I. დამტკიცდეს 2013 წლის სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტი (დანართი =1). საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 36 608 123 ლარით. მათ შორის:

1. სამეცნიერო გრანტები – 603 521 ლარი;
2. ფასიანი სწავლებიდან შემოსავალი – 33 899 410 ლარი;
3. ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი – 2 099 432 ლარი (ნაშთი – 39 000 ლარი, იჯარა –169 855 ლარი, დეპოზიტი – 200 000 ლარი, სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან შემოსავალი – 1 690 577 ლარი);

1. სტიპენდიები – 5760 ლარი.

II. ხარჯვითი ნაწილი კლასიფიკაციის შესაბამისად განისაზღვროს 33 516 587 ლარით.

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება – 17 353 261 ლარი;
2. საქონელი და მომსახურება – 13 350 591 ლარი;
3. სუბსიდიები –1 524 476 ლარი;
4. სხვა ხარჯები – 1 288 259 ლარი;

არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია განისაზღვროს 3 091 536 ლარი.

III. დამტკიცდეს სტუ-ს 2012 წლის ბიუჯეტის ადმინისტრირების ასიგნებები (დანართი =2) – 10 228 013 ლარი.

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება – 2 010 424 ლარი;
2. საქონელი და მომსახურება – 6 292 622 ლარი;

4. სხვა ხარჯები – 987 000 ლარი;

5. არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია – 937 967 ლარი.

IV. დამტკიცდეს სტუ-ს ფაკულტეტების 2013 წლის ბიუჯეტები (დანართი =3). მათ შორის:

1. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 2 517 750 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 1 935 685 ლარით;

2. ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 3 526 125 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 2 527 989 ლარით;

3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 1 844 063 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 1 633 474 ლარით;

4. ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 2 316 438 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 2 316 438 ლარით;

5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 3 188 646 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 2 703 440 ლარით;

6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 1 347 750 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 1 142 994 ლარით;

7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 10 591 763 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 5 473 023 ლარით;

8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 8 566 875 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 5 938 354 ლარით.

სულ ფაკულტეტების მიხედვით საშემოსავლო ნაწილი განისაზღვრება 33 899 410 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 23 671 397 ლარით.

V. დამტკიცდეს ადმინისტრაციის და ფაკულტეტების მიერ ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯების შესაბამისად შემუშავებული სტუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად შესასრულებელი სამუშაოების და შესყიდვების მიზნობრივი პროგრამები (დანართი=4).

VI. ნება დაერთოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სტუ-ს 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში დაუცველი მუხლების მთლიანი ასიგნებების მიხედვით განახორციელოს ცვლილებები 7%-ის ფარგლებში.

VII. სტუ-ს 2012 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის შესაბამისად, ფაკულტეტების მიერ მიღებული ჭარბი შემოსავლების 70% დარჩეს მათ განკარგულებაში; ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებით, მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლად, 30% ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული საუნივერსიტეტო პროგრამების დასაფინანსებლად.

სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (პროფ. ქ. ქოქრაშვილი):

1. უზრუნველყოს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილების განუხრელი შესრულება.

2. ფაკულტეტების დეკანებთან ერთად, ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ყველა პარამეტრის შესაბამისად, შემუშავებული მიზნობრივი პროგრამებით დაგეგმილი სამუშაოების შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერების შედეგების მიხედვით, დაზუსტებული ნაერთი ბიუჯეტი დასამტკიცებლად წარუდგინოს სენატს 2013 წლის მარტში;

3. დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესრულების პროცესში მიღებული ეკონომია მიმართოს საპრემიო ფონდში.

4. ეთხოვოს სტუ-ს რექტორს, პროფ. არჩილ ფრანგიშვილს;

ა) 2013 წლის მარტის ბოლომდე უზრუნველყოს უნივერსიტეტის მართვის სტრუქტურის, პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვების და საშტატო განრიგის ოპტიმიზაცია და დასამტკიცებლად წარუდგინოს სენატს;

ბ) მართვის სტრუქტურის, პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვების და საშტატო განრიგის ოპტიმიზაციის შედეგად გამონთავისუფლებული ფინანსები და სუბსიდიების მუხლით გათვალისწინებული ხარჯები მიმართოს სტუ-ს თანამშრომელთა ხელფასების გასაზრდელად;

გ) სტუ-ს დაცვის სამსახურის საქმიანობიდან გამომდინარე მიიღოს სათანადო ზომები ამ სამსახურის დაფინანსების და საშტატო ერთეულების შესამცირებლად;

დ) დააჩქაროს ფაკულტეტებზე მენეჯერების დანიშვნის დასრულების პროცესი.

VIII. სენატმა მიზანშეწონილად მიიჩნია საფაკულტეტო ბიუჯეტების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული მუშაობის შესახებ მოისმინოს მენეჯერების ანგარიშები 2013 წლის აპრილის, ივლისის და ნოემბრის თვეებში.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე